



საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა 2021



მივი აქეიშვილი
მარიაშ სალარეიშვილი

შინაარსი

შინაარსი	2
შესავალი	3
აბრევიატურა	4
ძირითადი მიგნებები:	5
საქართველოს ეკონომიკა: ადღენის პროცესში, COVID-19 პანდემიის პირობებში	7
შეზღუდვების პოლიტიკა: არაეფექტურია და მნიშვნელოვანი წნეხი შეუქმნა ეკონომიკას	9
დასაქმება და ხელფასები	10
საგარეო ვაჭრობა	12
ტურიზმი: ადღენა ჯერ კიდევ შორეული პერსპექტივაა	14
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები	14
სახელმწიფო ბიუჯეტი და საგარეო ვალი	16
ფინანსური სისტემა	17
რეკომენდაციები	19



მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

შესავალი

IDFI-იმ 2021 წელს დაიწყო საქართველოს ეკონომიკის პერიოდული მიმოხილვა. მიმდინარე მიმოხილვაში მოცემულია მთლიანი შიდა პროდუქტის, ვაჭრობის, ფულადი გზაცნილების, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, გაცვლითი კურსის, ბიუჯეტის, ვალის 2021 წლის ცხრა თვის მდგომარეობა და მოსალოდნელი პროგნოზები მომდევნო წლებში.

ეკონომიკის პერიოდული მიმოხილვა მოგვცემს საშუალებას მოვახდინოთ მიმდინარე გამოწვევების იდენტიფიცირება და ხელი შევუწყოთ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდას. არსებული შესაძლებლობების გამოვლენა დაგვეხმარება უფრო მეტად მოვახდინოთ კონცენტრირება ქვეყნისათვის საჭირო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაზე და გავზარდოთ საჯარო პოლიტიკის ეფექტურობა, რომელიც საჭიროა მოსახლეობის და ბიზნესის მხარდასაჭერად, რომ დავძლიოთ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური გამოწვევები.

აბრევიატურა

მშპ	მთლიანი შიდა პროდუქტი
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
სებ	საქართველოს ეროვნული ბანკი
IDFI	ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
წ.წ.	წინა წელთან
პ.პ.	პროცენტული პუნქტი
CAGR	საშუალო წლიური ზრდა

ძირითადი მიგნებები:

- 2021 წელს მოსალოდნელია ეკონომიკამ გადააჭარბოს 2019 წლის დონეს. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ეკონომიკამ გაჯანსაღება დაიწყო და ცხრა თვეში რეალური მშპ წ.წ. 11.3%-ით გაიზარდა. თუმცა, მოსალოდნელია წლის ბოლომდე რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი შენელდეს და ეკონომიკა 10%-ის ფარგლებში გაიზარდოს 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით.
- COVID-19 პანდემიასთან საბრძოლველად საქართველოში შემოღებული შეზღუდვები ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი იყო, მაგრამ არაეფექტური და COVID-19 ინფექციის მაღალ გავრცელებას ვერ შეუშალა ხელი. ამავდროულად, გამოიწვია ეკონომიკის მნიშვნელოვანი კლება. 2021 წელს, ყველაზე მაღალი სიმკაცრის ინდექსი იყო იანვარში, რასაც მოჰყვა რეალური მშპ-ს -11.5%-იანი შემცირება.
- საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე (4,270 აშშ დოლარი 2020 წელს) 8-ჯერ ჩამოუვარდება ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს, 2-ჯერ ნაკლებია რუსეთისა და თურქეთის მაჩვენებლებზე და თითქმის თანაბარია სომხეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის მაჩვენებლების.
- 2021 წლის პირველ ნახევარში უმუშევრობა გაიზარდა და შეადგენს 22%-ს, რაც 2020 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე 3.7 პ.პ.-ით მაღალია. ასევე, საყურადღებოა, რომ სამუშაო ძალის რაოდენობა 2021 წლის პირველ ნახევარში წ.წ. 2%-ით შემცირდა და დაახ. 1.5 მილიონ ადამიანს შეადგენს.
- დასაქმებული მოსახლეობის 64% 1,200 ლარზე ნაკლები ყოველთვიური ანაზღაურება აქვს 2020 წლის მდგომარეობით. ხოლო 2,400 ლარზე მაღალი ყოველთვიური ანაზღაურება დასაქმებულთა მხოლოდ 13%-ს აქვს.
- ეკონომიკური ზრდა ნაკლებად აისახება მოსახლეობაზე. 2014 წელთან შედარებით, 2020 წლის საშუალო ხელფასის მსყიდველობითუნარიანობა მხოლოდ 11%-ით არის გაზრდილი, მაშინ, როდესაც ნომინალური ხელფასი 46%-ით გაიზარდა. კუმულაციური ეკონომიკური ზრდა კი დაახ. 16% გვქონდა აღნიშნულ პერიოდში.
- COVID-19 პანდემიის პერიოდში, სავაჭრო დეფიციტი 0.6 მილიარდი აშშ დოლარით გაიზარდა 2021 წლის ცხრა თვის მდგომარეობით, 2020 წელთან შედარებით. თუმცა, ექსპორტი უფრო სწრაფი ტემპით (წ.წ. +24%) იზრდება ვიდრე იმპორტი (წ.წ. +22%), ანალოგიურ პერიოდში.
- ექსპორტის წილი ევროკავშირში მცირდება 2015 წლიდან, თუმცა იზრდება ექსპორტის წილი რუსეთში და ჩინეთში, 2015 წლიდან და 2019 წლიდან, შესაბამისად. საქართველოს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიცირების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ იცვლება ბოლო წლებში, თუმცა რუსეთზე უფრო მაღალი დამოკიდებულებით იზრდება საფრთხეები, რომ შესაძლო ემბარგოს პირობებში ექსპორტიორებს შეექმნებათ სირთულეები.
- ერთ ემიგრანტზე განხორციელებული ფულადი გზავნილები¹ რუსეთიდან (633 აშშ დოლარი) აშშ-ს მაჩვენებელს 13-ჯერ, ხოლო ევროკავშირის მაჩვენებელს 7-ჯერ

¹ კალკულაცია დაფუძნებულია 2017 წლის ემიგრანტების და 2020 წლის ფულადი გზავნილების მაჩვენებლებზე.

ჩამოუვარდება. ერთ ემიგრანტზე ფულადი გზავნილების მოცულობით ლიდერობს ისრაელი (16,864 აშშ დოლარი). ასევე, მაღალია გზავნილები საშუალოდ ერთ ემიგრანტზე აშშ-დან და ევროკავშირის ქვეყნებიდან რაც შეადგენდა 8,056 აშშ დოლარს და 4,358 აშშ დოლარს, შესაბამისად.


- 2021 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მკვეთრად არის შემცირებული და ბიზნესის განწყობის ინდექსი გაუარესებულია ბოლო წლებთან შედარებით. 2021 წლის ორი კვარტლის მდგომარეობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წ.წ. -11%-ით შემცირდა და 366 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც თითქმის განახევრებული მაჩვენებელია პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით.
- სახელმწიფო ვალი რეკორდულად მაღალ ნიშნულზეა. 2020-2021 წლებში მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მშპ-სთან. 2021 წლის რვა თვის მდგომარეობით აღნიშნული მაჩვენებელი 62%-ია. განვითარებადი ქვეყნებისთვის რეკომენდირებულია, ვალისა და მშპ-ს თანაფარდობა არ აღემატებოდეს 40%-ს, ხოლო განვითარებული ქვეყნებისთვის -60%-ს.
- 2021 წელს, ლარის გაცვლითი კურსის აშშ დოლართან გამყარების ფონზე, შემცირდა შინამეურნეობებისა და ბიზნეს სესხების დოლარიზაცია და სექტემბერში, 35% და 67% შეადგინა, შესაბამისად. დაწესებული რეგულაციების ფონზე, შინამეურნეობების სესხების დედოლარიზაცია, ბიზნეს სესხებთან შედარებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს.

საქართველოს ეკონომიკა: ადღენის პროცესში, COVID-19 პანდემიის პირობებში


2021 წლის მეორე კვარტალში ეკონომიკამ გაჯანსაღება დაიწყო და მიმდინარე წლის ცხრა თვეში რეალური მშპ წ.წ. 11.3%-ით გაიზარდა. თუმცა, მოსალოდნელია წლის ბოლომდე მშპ-ს ზრდის ტემპების შენელებს და ეკონომიკა 2021 წელს 10%-ის ფარგლებში გაიზარდოს 2020 წელთან შედარებით და გადააჭარბოს 2019 წლის მაჩვენებელს.

წლის დასაწყისისგან განსხვავებით, მარტიდან ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელმა გადააჭარბა 2019 წლის დონეს. სექტემბერში ეკონომიკური ზრდა 6.9%-ი იყო, რაც 2019 წლის მაჩვენებელს 6.2%-ით აჭარბებს.

გრაფიკი 1: ნომინალური მშპ (მლრდ. ლარი) და მშპ-ს რეალური ზრდა, 2013-6თ 2021
 გრაფიკი 2: მშპ-ს რეალური ზრდა (%) 2020-2021 წლებში




წყარო: საქსტატი, IDFI



წყარო: საქსტატი, IDFI

მშპ ერთ სულ მოსახლეზე დოლარში 2021 წლის პირველი ორი კვარტლის მდგომარეობით თითქმის უცვლელია 2013 წელთან შედარებით და დაახ. 2,200 აშშ დოლარს შეადგენს. აღნიშნული, დიდწილად ბოლო წლების განმავლობაში ლარის მკვეთრმა გაუფასურებამ განაპირობა. თუმცა, ლარში გამოსახული მშპ სამ. წლიურად +9.8%-ით იზრდებოდა აღნიშნულ წლებში და 7,300 ლარს მიაღწია 2021 წლის აგვისტოში.

გრაფიკი 3: მშპ ერთ სულზე (ლარი და აშშ დოლარი) და %-ული ზრდის ტემპი, 6თ 2013-2021




წყარო: საქსტატი, IDFI

საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე 8-ჯერ ჩამოუვარდება ევროკავშირის ქვეყნების საშუალოს, 2-ჯერ ნაკლებია რუსეთისა და თურქეთის მაჩვენებლებზე და თითქმის თანაბარია სომხეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის მაჩვენებლების.

საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 4,270 აშშ დოლარამდე 2020 წელს, 2015 წელთან შედარებით. მშპ ერთ სულზე გაიზარდა ევროკავშირის ქვეყნებში 11.4%-ით და საშუალოდ 33,000 აშშ დოლარი შეადგინა აღნიშნულ პერიოდში. რეგიონის ქვეყნებიდან მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა სომხეთსა (+18.3%) და რუსეთში (+8.7%) და შემცირდა აზერბაიჯანსა (-23.4%) და თურქეთში (-22.4%).

გრაფიკი 4: მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი) ქვეყნების მიხედვით და %-ული ზრდა, 2015-2020




წყარო: საქსტატი, IDFI

პანდემიის პერიოდში შეიცვალა ეკონომიკის სტრუქტურა. 2020 წელს COVID-19 პანდემიის დასაწყისში, სოფლის მეურნეობის წილი გაიზარდა მშპ-ში, თუმცა მცირდება ეკონომიკის აღდგენასთან ერთად. ვაჭრობა მშპ-ს ყველაზე მსხვილ კომპონენტად რჩება და 2021 წლის პირველი ორი კვარტლის მდგომარეობით მშპ-ს 16%-ს შეადგენს, +2 პ.პ. მეტს, 2019 წელთან შედარებით.

უძრავი ქონება (10%) ეკონომიკის რიგით მეორე უმსხვილესი კომპონენტი იყო 2020 წელს. თუმცა, 2021 წელს მას გადააჭარბა მრეწველობამ 13%-იანი წილით. განთავსების წილი მშპ-ში დაბალია COVID-19 პანდემიის პერიოდში და 3%-ს შეადგენდა 2021 წლის პირველი ორი კვარტლის მდგომარეობით. თუმცა, მცირედით გაუმჯობესდა გართობისა და დასვენების წილი მშპ-ში და 4% შეადგინა 2021 წელს, +1 პ.პ.-ით მეტი 2020 წელთან შედარებით.

გრაფიკი 5: მშპ-ს კომპოზიცია 6თ 2019-2021 წ.წ.




წყარო: საქსტატი, IDFI

მეზღუდვების პოლიტიკა: არაეფექტურია და მნიშვნელოვანი წნეხი შეუქმნა ეკონომიკას

ოქსფორდის უნივერსიტეტის COVID-19-ზე რეაგირების სიმკაცრეს ინდექსის მიხედვით, საქართველოში სიმკაცრის ინდექსი მაქსიმუმზე (100-იან ნიშნულზე) 2020 წლის 21 მარტიდან 21 აპრილამდე იყო, როდესაც რეალური მშპ-ს ყველაზე დიდი შემცირება -16.6% დაფიქსირდა. 2021 წელს, ყველაზე მაღალი სიმკაცრის ინდექსი იყო იანვარში, რასაც მოჰყვა რეალური მშპ-ს -11.5%-იანი შემცირება.

საგულისხმოა, რომ როგორც 2020 წლის, ისე 2021 წლის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე მთავრობამ დაიწყო მეზღუდვების შემსუბუქება, თუმცა 2021 წლის ზაფხულში ინფიცირებულთა რიცხოვნობის მკვეთრი მატების ფონზე, მცირედით გამკაცრდა მეზღუდვები.


გრაფიკი 6: მშპ-ს რეალური ზრდა და სიმკაცრის ინდექსი 2020-2021 წლებში



წყარო: საქსტატი, OxCGR, IDFI

საქართველოში საშუალო წლიური სიმკაცრის ინდექსი მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე მაღალია, თუმცა, აღნიშნულმა ხელი ვერ შეუშალა ინფექციის გავრცელებას. მსგავსი საშუალო სიმკაცრის ინდექსის მქონე ქვეყნებთან შედარებით, გაცილებით მაღალია საქართველოში ინფიცირების მაჩვენებელი.

გრაფიკი 7: საშუალო სიმკაცრის ინდექსი და ინფიცირებულთა %-ული რაოდენობა მოსახლეობასთან, 2020-9თ 2021



წყარო: OxCGRT, Worldometers, IDFI

დასაქმება და ხელფასები

საყურადღებოა, რომ სამუშაო ძალის რაოდენობა 2021 წლის პირველ ნახევარში წ.წ. 2%-ით შემცირდა და შეადგენს დაახ. 1.5 მილიონ ადამიანს. სამუშაო ძალის 78% დასაქმებულია, მათ შორის 58% დაქირავებული, ხოლო 24% თვითდასაქმებული.

2021 წლის პირველ ნახევარში უმუშევრობა გაიზარდა და შეადგენს 22%-ს, რაც 2020 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე 3.7 პ.პ.-ით მაღალია. განსაკუთრებით მაღალია უმუშევრობა მამაკაცებში (24%). ამავე პერიოდში შემცირდა დაქირავებით დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა რაოდენობა, წ.წ. -7%-ით და -5%-ით, შესაბამისად.

გრაფიკი 8: ზრდასრული მოსახლეობის განაწილება დასაქმების მიხედვით (მლნ), 6თ 2021




*2020 წლის მაჩვენებელი

წყარო:საქსტატი, IDFI

2015 წლიდან ნომინალური ხელფასი საშ. წლიურად 6%-ით, ხოლო რეალური ხელფასი 2%-ით იზრდება. ინფლაციის გათვალისწინებით, 2015 წელთან შედარებით, ლარის მსყიდველუნარიანობა 40%-ით შემცირდა 2020 წელს და მოსალოდნელია 50%-მდე შემცირდეს 2021 წელს.


გრაფიკი 9 : ნომინალური და რეალური ხელფასი, 2015-6თ 2021.



წყარო: საქსტატი, IDFI

დასაქმებული მოსახლეობის 64% 1,200 ლარზე ნაკლები ყოველთვიური ანაზღაურება აქვს 2020 წლის მდგომარეობით. ხოლო 2,400 ლარზე მაღალი ყოველთვიური ანაზღაურება დასაქმებულთა მხოლოდ 13%-ს აქვს. 2015 წლიდან ყოველწლიურად მცირდება 1,200 ლარზე ნაკლები საშუალო თვიური შემოსავლის მქონე დასაქმებულთა წილი, თუმცა, აღნიშნული მაჩვენებელი მაინც მაღალია და უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს ლარის მსყიდველუნარიანობა 40%-ით შემცირდა 2015 წელთან შედარებით.

გრაფიკი 10: დასაქმებულთა განაწილება შემოსავლების კატეგორიების მიხედვით, 2015-9თ 2020.




წყარო: შემოსავლების სამსახური, IDFI

საგარეო ვაჭრობა

COVID-19 პანდემიის შემდგომ, უმჯობესდება საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებიც. 2021 წლის ცხრა თვის მდგომარეობით, ექსპორტი უფრო სწრაფი ტემპით (წ.წ. +24%) იზრდება ვიდრე იმპორტი (წ.წ. +22%), თუმცა, სავაჭრო დეფიციტი 0.6 მილიარდი აშშ დოლარით გაიზარდა.

გრაფიკი 11: ექსპორტი, იმპორტი, სავაჭრო სალდო, 2015-9თ 2021.




წყარო: საქსტატი, IDFI

უცვლელია საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების სია, თუმცა შეიცვალა ამ ქვეყნების წილი ვაჭრობაში. 2020 და 2021 წლებში ჯამურად წ.წ. -7 პ.პ.-ით შემცირდა ევროკავშირის ქვეყნების წილი ექსპორტში. ამავე პერიოდში, ჩინეთის წილი ექსპორტში გაიზარდა ჯამურად წ.წ. +11 პ.პ.-ით.


საგარეო ვაჭრობაში, საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულება გაიზარდა, 2021 წლის 9 თვის მდგომარეობით რუსეთთან ექსპორტი წ.წ. +38%-ით და იმპორტი წ.წ. +15%-ით გაიზარდა და წილმა ჯამურ ექსპორტში და იმპორტში 14% და 10% შეადგინა აღნიშნულ პერიოდში, შესაბამისად.

გრაფიკი 12: ტოპ ქვეყნების წილი ექსპორტში 9 თვე 2019-2021



წყარო: საქსტატი, IDFI


გრაფიკი 13: ტოპ ქვეყნების წილი იმპორტში 9 თვე 2019 - 2021



წყარო: საქსტატი, IDFI

ექსპორტის წილი ევროკავშირში მცირდება 2015 წლიდან, თუმცა იზრდება ექსპორტის წილი რუსეთში და ჩინეთში, 2015 წლიდან და 2019 წლიდან, შესაბამისად. საერთო ჯამში საქართველოს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიცირების მაჩვენებელი, ბაზრის კონცენტრაციის ინდექსის მიხედვით² მნიშვნელოვნად არ იცვლება ბოლო წლებში, თუმცა რუსეთზე უფრო მაღალი დამოკიდებულებით იზრდება საფრთხეები, რომ შესაძლო ემბარგოს პირობებში ექსპორტიორებს შეექმნებათ სირთულეები.

გრაფიკი 14: ექსპორტის კონცენტრაციის ინდექსი 2011- 9თ 2021




წყარო: საქსტატი, IDFI

COVID-19 პანდემიამ გაზარდა მოთხოვნა მედიკამენტებზე და სხვა სამკურნალო საშუალებებზე (მაგ: ვაქცინა) (+32% წ.წ. 2021 წლის 9 თვე), მეორე მხრივ კი პანდემიის დროს სამუშაოსა და განათლების სერვისების დისტანციურად წარმართვამ გაზარდა მოთხოვნა საკომუნიკაციო საშუალებებზე და კომპიუტერებზე (+67% წ.წ. 2021 წლის 9 თვე).

საქართველოს ექსპორტი სასოფლო-სამეურნეო საქონელზე და ბუნებრივ რესურსებზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული. თუმცა, ტოპ საექსპორტო საქონელში გამოჩნდა ტექსტილიც. 2021 წლის ცხრა თვის მდგომარეობით, გაიზარდა ადგილობრივი წარმოების საქონლის ექსპორტი და შეადგინა 2.2 მილიარდი აშშ დოლარი. მათ შორის გაიზარდა სასმელების ექსპორტი - შაქრის შემცველი გაზიანი სასმელები (+88%), მინერალური წყალი (+28%), ღვინო (+16%), სპირტიანი სასმელები (+18%). ასევე გაზრდილია მაისურებისა (+70%) და თხილის (+40%) ექსპორტი.


² დათვლილია ჰერფინალ პირშმანის ინდექსის მეთოდოლოგიით.

გრაფიკი 15: ტოპ საიმპორტო პროდუქტები (მლნ აშშ დოლარი), 9 თვე 2019-2021



წყარო: საქსტატი, IDFI

გრაფიკი 16: ადგილობრივი წარმოების საქონლის ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი), 9 თვე 2019-2021




წყარო: საქსტატი, IDFI

ტურიზმი: აღდგენა ჯერ კიდევ შორეული პერსპექტივაა

ტურიზმის აღდგენა ჯერ კიდევ შორეული პერსპექტივაა. ვიზიტორების რაოდენობისა და ტურიზმის შემოსავლების ყველაზე მკვეთრი ვარდნა 2020 წლის მეორე კვარტალში დაფიქსირდა წ.წ. -96% და -97%, შესაბამისად. 2021 წლის პირველ კვარტალში ტურისტების რაოდენობა წ.წ. -90%-ით შემცირდა.

გრაფიკი 17: ვიზიტორთა რაოდენობა და ტურიზმის შემოსავლები, 2018 – 6თვე 2021




წყარო: სებ, საქსტატი, IDFI

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები

2021 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მკვეთრად არის შემცირებული და ბიზნესის განწყობის ინდექსი გაუარესებულია ბოლო წლებთან შედარებით. 2021 წლის ორი კვარტლის მდგომარეობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წ.წ. -11%-ით შემცირდა და 366 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც თითქმის განახევრებული მაჩვენებელია

პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით. თუმცა, 2021 წლის პირველ კვარტალში წ.წ. -23%-იანი კლების შემდეგ, მეორე კვარტალში ინვესტიციები მხოლოდ წ.წ. -2.6%-ით შემცირდა.

გრაფიკი 18: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი) და ბიზნესის განწყობა, 2018-6თ 2021




წყარო: ISET-PI, საქსტატი, IDFI

2021 წლის ცნრა თვის მდგომარეობით, გაიზარდა ფულადი გზავნილების მოცულობა და 1.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა (+10% წ.წ.). წ.წ. გზავნილების მოცულობა გაზრდილია ყაზახეთიდან (+174%), აზერბაიჯანიდან (+57%), აშშ-დან (+19%) და ევროკავშირიდან (13%). მნიშვნელოვნად შემცირდა გზავნილები თურქეთიდან (-44% წ.წ.) და მცირედით რუსეთიდან (-2% წ.წ.).


2021 წლის 9 თვის მიხედვით, ფულადი გზავნილების 43% ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოედინება, ასევე მაღალი წილი აქვს რუსეთს და აშშ-ს, 15% და 13% შესაბამისად.

გრაფიკი 19: ფულადი გზავნილები (მლრდ. აშშ დოლარი), 2012-9თ 2021



წყარო: სებ, IDFI


გრაფიკი 20: ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით (%), 9თ 2021



წყარო: სებ, IDFI


ერთ ემიგრანტზე ფულადი გზავნილების მოცულობით ლიდერობს ისრაელი (16,864 აშშ დოლარი). ასევე, მაღალია გზავნილები საშუალოდ ერთ ემიგრანტზე აშშ-დან და ევროკავშირის ქვეყნებიდან და შეადგენდა 8,056 აშშ დოლარს და 4,358 აშშ დოლარს, შესაბამისად. ამ მხრივ ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს რუსეთს (633 აშშ დოლარი), ეს მაჩვენებელი აშშ-ს მაჩვენებელს 13-ჯერ, ხოლო ევროკავშირის მაჩვენებელს 7-ჯერ ჩამოუვარდება.

გრაფიკი 21: ფულადი გზავნილების მოცულობა ერთ ემიგრანტზე* (აშშ დოლარი) 2020 წელს.



წყარო: სებ, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, IDFI
შენიშვნა: *2017 წლის მონაცემები

გრაფიკი 22: ქართველი ემიგრანტების განაწილება ქვეყნების მიხედვით (2017 წელი)




წყარო: მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, IDFI

სახელმწიფო ბიუჯეტი და საგარეო ვალი

2020 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების წილი მშპ-ს თან მიმართებით 33%-ს შეადგენდა და 4%-ით გაიზარდა 2019 წელთან შედარებით. ეკონომიკური რეცესიის პირობებში ბიუჯეტის დანახარჯების ზრდა მოსალოდნელი იყო და სხვა ქვეყნების მსგავსად წარიმართა. თუმცა, აღნიშნული გადასახდელების დიდი ნაწილი დაფინანსებული იყო საგარეო ვალის ზრდის ხარჯზე.

გრაფიკი 23: სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების წილი მშპ-სთან (%), 2019-2020




წყარო: Trading Economics, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, IDFI

საგარეო ვალი მშპ-ს 60%-ს აჭარბებს. 2020-2021 წლებში მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მშპ-სთან. 2021 წლის რვა თვის მდგომარეობით აღნიშნული მაჩვენებელი 62%-ია. განვითარებადი ქვეყნებისთვის რეკომენდირებულია, ვალისა და მშპ-ს თანაფარდობა არ აღემატებოდეს 40%-ს, ხოლო განვითარებული ქვეყნებისთვის 60%-ს³. უნდა გავითვალისწინოთ, რომ კურსის გაუფასურების პირობებში აღნიშნული თანაფარდობა შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს, რაც გაზრდის ქვეყნის გადახდისუნარიობის რისკს და საბიუჯეტო დანახარჯების ზრდას გამოიწვევს.


2021 წლის ცხრა თვის მდგომარეობით სახელმწიფო ვალი 30.4 მილიარდ ლარს შეადგენს. მათ შორის 56% საერთაშორისო ორგანიზაციებისგან აღებული ვალია, ხოლო 18% საშინაო ვალია.

გრაფიკი 24: სახელმწიფო ვალი, იან-სექ 2021



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, IDFI

გრაფიკი 25: სახელმწიფო ვალი მშპ-სთან და გაცვლითი კურსი, 2013-9თ 2021



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქსტატი, სებ, IDFI


ფინანსური სისტემა

დოლარიზაციის მაჩვენებელი შემცირებას განაგრძობს და 2021 წლის სექტემბრის მდგომარეობით სესხების დოლარიზაცია 51%-ია. გაცვლითი კურსის გამყარება დოლარიზაციის შემცირებას უწყობს ხელს. ლარის აშშ დოლარის მიმართ გაცვლითი კურსის გაუფასურების ეფექტის გამოკლებით დოლარიზაცია 37%-იან ნიშნულზე იქნებოდა.

შინამეურნეობებისა და ბიზნეს სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელმა 2021 წლის სექტემბერში, 35% და 67% შეადგინა, შესაბამისად. შინამეურნეობების სესხების დოლარიზაცია, ბიზნეს სესხებთან შედარებით, სწრაფად იკლებს. 2017 წლიდან დღემდე შინამეურნეობების სესხების დოლარიზაცია 19 პ.პ.-ით შემცირდა, მაშინ როდესაც ბიზნეს სესხების დოლარიზაცია მხოლოდ 9 პ.პ.-ით შემცირდა.


³ <https://www.unescap.org/sites/default/files/pb14.pdf>

გრაფიკი 26: დოლარიზაცია, 2014- სექ 2021



წყარო: სებ, IDFI

გრაფიკი 27: შინამეურნეობების და ბიზნეს სესხების დოლარიზაცია, 2014- სექ 2021




წყარო: სებ, IDFI

2017-2020 წლებში ყოველწიურად იზრდებოდა სავალუტო ბაზარზე ევროთი განხორციელებული ოპერაციების წილი, თუმცა, 2021 წლის ცხრა თვის მდგომარეობით ეს ტენდენცია არ შენარჩუნდა. ამავე პერიოდში, ევრო გამყარდა აშშ დოლართან მიმართებით.


2021 წლის 9 თვის მდგომარეობით, ლარი გაუფასურდა დოლართან მიმართებით (წ.წ. +6%) და 1 აშშ დოლარის ღირებულება საშუალოდ 3.25 ლარს შეადგენს. ამავე პერიოდში, დოლართან მიმართებით გაუფასურდა თურქული ლირა (წ.წ. +20%); სომხური დრამი (წ.წ. +6%) და რუსული რუბლი (წ.წ. +4%).

გრაფიკი 28: სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარით და ევროთი განხორციელებული ოპერაციები, 2016-9თ 2021



წყარო: სებ, IDFI

გრაფიკი 29: სხვადასხვა ქვეყნის გაცვლით კურსები აშშ დოლართან მიმართებით 2014-2021 წლებში



წყარო: სებ, IDFI

რეკომენდაციები

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში დაჩქარდეს ვაქცინაციის ტემპი და ეკონომიკის ჩაკეტვა აღარ იყოს ერთადერთი გამოსავალი. ეკონომიკის ჩაკეტვის პირობებში მოსახლეობა რჩება სოციალური დახმარების იმედად, ხოლო გაზრდილი სახელმწიფო ვალი, რომელიც 60%-იან ზღვარს გასცდა მშპ-თან მიმართებაში, მთავრობას შეუზღუდავს სოციალური დახმარებების გაცემას და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდება. პანდემიის ფონზე, მოსახლეობის ინფორმირება სწრაფი ვაქცინაციის აუცილებლობაზე და მიზნობრივი შეზღუდვები ერთადერთ გამოსავალს წარმოადგენს.

საქართველოში საშუალო წლიური სიმკაცრის ინდექსი მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე მაღალია, თუმცა, აღნიშნულმა ხელი ვერ შეუშალა ინფექციის გავრცელებას. მსგავსი საშუალო სიმკაცრის ინდექსის მქონე ქვეყნებთან შედარებით, გაცილებით მაღალია საქართველოში ინფიცირების მაჩვენებელი.

საგარეო ვალი მშპ-ს 60%-ს აჭარბებს. 2020-2021 წლებში მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფო ვალის თანაფარდობა მშპ-სთან. 2021 წლის რვა თვის მდგომარეობით აღნიშნული მაჩვენებელი 62%-ია. განვითარებადი ქვეყნებისთვის რეკომენდირებულია, ვალისა და მშპ-ს თანაფარდობა არ აღემატებოდეს 40%-ს, ხოლო განვითარებული ქვეყნებისთვის 60%-ს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ კურსის გაუფასურების პირობებში აღნიშნული თანაფარდობა შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს, რაც გაზრდის ქვეყნის გადახდისუნარიობის რისკს და საბიუჯეტო დანახარჯების ზრდას გამოიწვევს.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა საშუალებას ვუპასუხოთ ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს. საყოველთაო სოციალური პაკეტი არაეფექტურია სიღარიბის დაძლევის პროცესში და მთავრობა უნდა იყოს ორიენტირებული გამონთავისუფლებული რესურსები მიმართოს მიზნობრივ სოციალურ ჯგუფებზე და სიღარიბის დასაძლევად.

2021 წლის პირველ ნახევარში უმუშევრობა გაიზარდა და შეადგენს 22%-ს, რაც 2020 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე 3.7 პ.პ.-ით მაღალია. ასევე, საყურადღებოა, რომ სამუშაო ძალის რაოდენობა 2021 წლის პირველ ნახევარში წ.წ. 2%-ით შემცირდა და დაახ. 1.5 მილიონ ადამიანს შეადგენს.

დასაქმებული მოსახლეობის 64% 1,200 ლარზე ნაკლები ყოველთვიური ანაზღაურება აქვს 2020 წლის მდგომარეობით. ხოლო 2,400 ლარზე მაღალი ყოველთვიური ანაზღაურება დასაქმებულთა მხოლოდ 13%-ს აქვს.

არასტაბილური პოლიტიკური გარემო, ინვესტორებთან არსებული სამართლებრივი დავები, შეფერხებები მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში (მაგ: დრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის შეჩერება) კვალიფიციური ადამიანური კაპიტალის ნაკლებობა და ქვეყნიდან გადინება, ქვეყანას ინვესტორებისთვის ნაკლებად მიმზიდველს ხდის. აუცილებელია ქვეყანაში

გაუმჯობესდეს საინვესტიციო გარემო და ხელი შეეწყოს ინვესტიციების შემოდინებას. განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია პრივატიზაციის წახალისება იმ სახელმწიფო საწარმოებისათვის, რომლებიც ზარალზე არიან.

2021 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მკვეთრად არის შემცირებული და ბიზნესის განწყობის ინდექსი გაუარესებულია ბოლო წლებთან შედარებით. 2021 წლის ორი კვარტლის მდგომარეობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წ.წ. -11%-ით შემცირდა და 366 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც თითქმის განახევრებული მაჩვენებელია პანდემიამდელ პერიოდთან შედარებით.

სახელმწიფო საწარმოები უმეტესწილად ზარალს განიცდიან და არსებული ვალის ტვირთი აღნიშნულ საწარმოებზე მნიშვნელოვანი ფისკალური რისკია ბიუჯეტისათვის. რაც პრივატიზაციის დაკარგულ შესაძლებლობას წარმოადგენს და აფერხებს სექტორების განვითარებას. ასევე, ფინანსური წნეხი არ იძლევა საშუალებას სახელმწიფომ გასცეს დამატებითი გარანტიები ინვესტორებისათვის (მაგ: გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებები ენერჯეტიკის სექტორისათვის, რომელიც აუცილებელია განახლებადი ენერჯის ასათვისებლად).

სასურველია ხელი შეეწყოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებას და საექსპორტო საქონლის ხარისხის ზრდას, რომ შემცირდეს დამოკიდებულება დაბალი მსყიდველუნარიანობის მქონე და მაღალი პოლიტიკური რისკ-ჯგუფის ქვეყნებზე (მაგ: რუსეთი) და ექსპორტიორებმა შეძლონ აითვისონ მაღალი მსყიდველუნარიანობის მქონე ბაზრები.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მიუხედავად, ექსპორტის წილი ევროკავშირში და ექსპორტის აბსოლუტური მაჩვენებლები მცირდება 2015 წლიდან. თუმცა, იზრდება ექსპორტის წილი რუსეთში და ჩინეთში, 2015 წლიდან და 2019 წლიდან, შესაბამისად. საერთო ჯამში, საქართველოს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიცირების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ იცვლება ბოლო წლებში, თუმცა რუსეთზე უფრო მაღალი დამოკიდებულებით იზრდება საფრთხეები, რომ შესაძლო ემბარგოს პირობებში ექსპორტიორებს შეექმნებათ სირთულეები.

მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მიზნად დაისახავს ადამიანური კაპიტალის სპეციალიზაციას და კვალიფიკაციის ამაღლებას სტრატეგიულ მიმართულებებზე (ინფორმაციული ტექნოლოგიები, პროფესიული სასწავლებლები და სხვა)

მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ შეიმუშავოს გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკა და განხორციელების გზები, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ქვეყნისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებს და ყოველწლიურად მიზნად დაისახავს ეკონომიკური ზრდის მინიმალურ მაჩვენებლებს.

